

ქველმოქმედება უმაღლესი ჰუმანური აქტია

სითბოთი და გადღივებით საშსე თვალები



ქველმოქმედება, ანუ სიკეთის ქმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს საქმე იმდენად დიდია, რომ ადამიანს ასეთი ქცევა შეეძლოს ჰგვრის, აძლიერებს და სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს. რა თქმა უნდა, ასეთი მოქმედება მუდამ უნდა ნაყაბისოთ.

სწორედ სიკეთის კეთების დაუშრეტელმა სურვილმა მიიყვანა თბილისის 49-ე საჯარო სკოლა გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცებულთა, უძღურთა და მიუსაფართა სახლში „ზე“.

პირველად ეს იდეა სიკეთითა და კაცთ-მოყვარეობით გამორჩეულ ულამაზეს და უკეთილშობილეს ქალბატონს, 49-ე საჯარო სკოლის დირექტორს, **ეკატერინე ცაავას** ეკუთვნის. მას მხარში ამოუდგა მთელი სასკოლო საზოგადოება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დანაწიებითი საფეხურის მშობელთა კომიტეტისა, მათი კლასის დამრიგებლების, შესაბამისად მოსწავლეების და სპეცმასწავლებლების აქტიურობა, თუმცა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს.

სკოლის მოსწავლეები პროექტის ინიციატივას დიდი ხალისით შეხვდნენ და გად-ანვიტეს, საკუთარი ხელით გაეკეთებინათ და დაეხატათ პლაკატები. ამასთან ერთად, მოხუცების გასახალისებლად მცირე კონცერტიც მოემზადებინათ.

დამრიგებლის **მაია გელოვანის** ხელმძღვანელობით არაჩვეულებრივი მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ 49-ე საჯარო სკოლის პირველკლასელები: **თამარ მაზდელიანი**, **თათია ბალაშაძე**, **გიგი თეთვაძე**, **ლიზი მეფარიშვილი**.

მე-3 კლასელი და-ძმა **თორნიკე** და **მარიამ ლიბრაძეები** დიდი ოსტატობით უკრავდნენ დოლზე და საზოგადოებას ახალისებდნენ დამრიგებლის, **მარინა კიკნაძის**

ხელმძღვანელობით. ემოციურად იცეკვეს მე-4 კლასელებმა: **ნოდარ კიკაბიძემ**, **ანა კუპრაძემ**, **მარიამ რაგიმომამ**, **სალომე მარტაშვილმა**, **ნუცა გაბრიელაშვილმა**, **სოსო დავითურმა**, **მარიამ** და **ლიზი შამანაურებმა**.

მომხიბლავი მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ მეექვსეკლასელი გოგონები: **ნინო რაგიმოვი**, **ქეთი კორბეასვილი** და **ლანა აღვანიშვილი**. ამით იმ უძღურ მოხუცებს, რომლებიც ვეღარ მოძრაობენ და სამწუხაროდ, სანოლს არიან მიჯაჭვულები, დიდი სიამოვნება მიანიჭეს, სულიერად გაამხნევეს.

ამ ყველაფერს ძალიან შთამბეჭდავი სახე ჰქონდა, ბედნიერი და აღელვებული მოხუცები, მხიარული და მონდომებული ბავშვები მართლაც რომ, სასიამოვნო და გულსამაჩუყებელი სანახაობა იყო.

განსაკუთრებით ღონისძიების პირველი ნაწილის ბოლო აკორდმა მოხიბლა მთელი დამსწრე საზოგადოება, რომელთაც ერთობლივად შეასრულეს ვალსი. მოსწავლეებმა ააცეკვეს კეთილი მოხუცები. ამაგ-დარ ადამიანებს სხიარულის ცრემლებით ავესოთ თვალები.

თბილისის 49-ე საჯარო სკოლა გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცებულთა, უძღურთა და მიუსაფართა სახლში „ზე“-ს უკვე მეორედ ეწვია.

პირველი შეხვედრა ქალბატონ ეკატერინეს თაოსნობით 2014 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა.



მაშინ სკოლაში ეს პროექტი აქციის „human inclusive hug“ – ფარგლებში განხორციელდა და მასშტაბური ხასიათი მიიღო, როდესაც მთელი სკოლა ერთხმად ჩაერთო პროექტის განხორციელებაში და აქციით გათვალისწინებული „ერთი კარტოფილისა“



და „ერთი კანფეტის ნაცვლად“, სურსათით დატვირთული სასკოლო საზოგადოების შემხედვარეს მართლაც, რომ თვალზე ცრემლი მოადგებოდა ადამიანს.

ბავშვებს დაუზარებლად მოჰქონდათ სხვადასხვა სახის პროდუქტები, ამზადებდნენ ფერად-ფერად პლაკატებს, ადგენდნენ პროგრამას და რეპეტიციებს გადიოდნენ.

მათ ქმედებაში უსაზღვრო მონდომება და ხალისი იგრძნობოდა. ასეც მოხდა, 49-ე საჯარო სკოლის პირველ სტუმრობასაც საზეიმო ელფერი ჰქონდა. გახარებული და აღტაცებული მოხუცების დანახვამ ყველას ცრემლი მოჰგვარა. ჩვენი სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა** სათითაოდ მიესიყვარულა პანსიონატის ბინადართ. ამ მომენტებსაც ემოციების გარეშე, რა თქმა უნდა არ ჩაუვლია – მოხუცების სახეზე მაღლიერების გრძნობა ეხატა.

ეს იყო შარშან და რა გასაკვირია, რომ ამ ბედნიერი წუთების შემდეგ, კვლავ გაჩნდა სურვილი, კიდევ ერთხელ მოგვენახულებინა ძვირფასი მოხუცები. ეს სურვილი კვლავაც გვექნება. 49-ე საჯარო სკოლა მუდამ მზად იქნება დახმარების ხელი გაუწოდოს ჩვენს თბილ და მზრუნველ მოხუცებს.

რუსა სოპარაული, მარიკა ჯიქია,
49-ე საჯარო სკოლის
სპეცმასწავლებლები

საზედაქციო მიმართვა ქვირფასო მასწავლებლო!

იაკოვ გოგაბაშვილის პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებული გაზეთი „სახალხო განათლება“ 85 წლის გახდა. იგი მუდამ იყო და არის მასწავლებლების, მეცნიერების, განათლების სისტემის ყველა მუშაკის თანამდგომი, მრჩეველი, მეგობარი.

მრავალფეროვანია გაზეთის თემატიკა: პედაგოგის ოსტატობა, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, სწავლების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარ-ჩვევები, დამოუკიდებელი აზროვნების განვითარება, სიახლეები სწავლებაში, მონივნე გამოცდილების განზოგადება, რეფორმები – აი, ის არასრული ჩამონათვალი, რის გაშუქებასაც ვცდილობთ.

ამასთან ერთად გაზეთს ამშვენებს რუბრიკები: „ნიჭიერი მოსწავლე“, „სიძველესადმი ნდობა-პატივი“, „რა ენა წახდეს“, „ვინც მოყვარეს არ ეძებს“, „პედაგოგის პოეტური პალიტრა“, „სასწავლო ოლიმპიადები“.

„აღვადგინოთ ტრადიცია – აღვანდოთ მოსწავლის გაცეცხლება“, „ნოვატორი პედაგოგი“, „მასწავლებლის იუბილე“.

კატეგორიულად მიუღებელია ზოგიერთი მოსულელო პოლიტოლოგის მიერ დამკვიდრებული სტერეოტიპი, თითქოს იუბილეს გადახდა კომუნისტური გადმონაშთია. ამ ლოგიკით ილია ჭავჭავაძე „კომუნისტის“ ყოფილა, რადგან მას „ილიაობას“ ყოველ წელს უმართავდნენ.

მუდამ მხარს დაუჭერთ პედაგოგის მატერიალურ-მორალური სტიმულირების ყოველგვარ ფორმას, რომ აღდგეს „რესპუბლიკის დამსახურებული“, „სახალხო მასწავლებლის“ ან სხვა ნოდებათა მინიჭების მივინყებელი წესი.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში აშკარად შეინიშნება სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლების მხრიდან პედაგოგიური პრესის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება. გვაქვს ჩვენი გაზეთის იგნორირების ფაქტები. მიზეზი ბევრია. ორს გამოვყოფთ მხოლოდ: ზოგიერთი დირექტორი ან პედაგოგი ფიქრობს: „რად მინდა გაზეთი, ყურნალი. აგერ არ არის კომპიუტერი? რასაც მინდა, იმ ინფორმაციას მოვიძიებო“. მცდარი აზრია. **კომპიუტერს თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს, ყურნალ-გაზეთს თავისი. გაზეთს, ყურნალს, წიგნს კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის.**

ზოგიერთი დირექტორი ან პედაგოგი ამბობს: „ჩემთვის გამოსადეგი, კომპეტენტური, საინტერესო მასალები გაზეთში, ყურნალში არ იხეჭდება“. შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ ყურნალისტი ხომ მეტწილად მხოლოდ ფილოლოგია, ის შეიძლება ღრმად ვერ წვდებოდეს პედაგოგის, ფსიქოლოგის, მათემატიკის, ფიზიკის, სხვა საგნის სწავლების ნიუანს-ლაბირინთებში.

ამიტომ მოგმართავთ: **აქტიურად ითანამშრომლოთ ჩვენთან, მოგვანოდოთ სიახლეების, მონივნე გამოცდილების ამსახველი კომპეტენტური წერილები. გამოიწერეთ გაზეთები, ბევრი იკითხოთ პედაგოგიური ლიტერატურა.**

გაზეთი
„სახალხო განათლება“
რედაქციის

მპითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად
მიმართეთ პრესის
გავრცელების სააგენტოებს:
„საქპრესა“ – გურამიშვილის
გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518,
„მაცნე“ – საირმის ქ. კორპ N 4,
ტელ.: 2 14 74 22.



პედაგოგთა პროფკავშირი

გზოვით სასიკეთო საქმეებისთვის



რამდენიმე დღის წინათ, რუსთავში არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ ოფისში მორიგი ღონისძიება გაიმართა ქვემო ქართლის განათლების პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელის **ლილი ნურნუმიას** ინიციატივით. იქნებ გასაკვირია, მაგრამ ნამდვილად დასაჯერებელია ის ფაქტი, რომ დროისა და მთავრობათა ცვალებადობის მიუხედავად, ამ ორგანიზაციას უკანასკნელ წლებში ერთი დღეც არ შეუწყვეტია მუშაობა, ხოლო მის ხელმძღვანელს, პროფესიით პედაგოგს **ლილი ნურნუმიას** აზრადაც არ

მოსვლია, მიეტოვებინა ის შენობა და ის საქმე, სადაც წლობით საქმიანობს პროფკავშირის განხრით.

ამ ენერგიულმა ქალბატონმა მართლაც რომ ააღორძინა პედაგოგთა პროფკავშირული ორგანიზაცია და უდიდესი ფუნქციაც დააკისრა მას. კერძოდ, ორგანიზაციაში ამჟამად რეგიონის სკოლებიდან 400 მასწავლებელია გაერთიანებული. ადგილებზე თავმჯდომარეები არიან: **ნანა სამხარაძე, ქეთევან გარაშვილი, ლალი შოშიაშვილი, ირმა ლობჯანიძე, ლეილა ნამაზოვა, ქეთევან ბოჭორიშვილი, სარხან საფაროვი, ლეილა სუხიტაშვილი, შორენა მამუკაშვილი, ემა ლიპარტელიანი, ია ფანჯიკიძე, მერი დავითაშვილი, მადონა მახარაძე, ლალი როსტიაშვილი, ირმა ჩადუნელი, ნინო ხედგენიძე** – ამ ლიდერების დამსახურებაა, რომ დღეს ასე აქტიურად მუშაობს პედაგოგთა პროფესიული კავშირი მათივე პრობლემების გადასაჭრელად და დროულად მოსაგვარებლად.

– ჩვენს აქტიურობას განაპირობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირების კომიტეტის გამორჩეული ლიდერის **მაია კობახიძის** ერთგულეობა საქმისადმი და გადადებები ენერჯია. იგი ამ დარგის მუშაკთა თავგამოდებული ქომაგია და არა მხოლოდ

სიტყვით, არამედ – საქმით. ქალბატონი **ლილი ნურნუმი** ამ მოსაზრებას არგუმენტითაც ასაბუთებს: – მართო მიმდინარე წელს ამ დარგის პროფკავშირების იურიდიულმა დეპარტამენტმა, მაღალკვალიფიციური იურისტის **ურა ბაკურაძის** ძალისხმევით სამუშაოდან პედაგოგთა უკანონოდ განთავისუფლების 30-მდე ფაქტი შეისწავლა და დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ჩვენ ყველას დიდი იმედი გვაქვს, რომ ნებისმიერ სასიკეთო საქმეში ზვიდან მხარს დაგვიჭერენ და დაგვეხმარებინან.

მაინც რა კონკრეტულ საკითხებზე მუშაობს ქვემო ქართლის პროფკავშირული ორგანიზაცია ან რა პრობლემებს აგვარებენ მათი ხელმძღვანელები?

– სანეწრო გადასახადის სიმცირის მიუხედავად, ეს ორგანიზაცია აქტიურად და დრომონაცვლეობით ეხმარება სოციალურად შეჭირვებულ პედაგოგებს, აკითხვენ და ყურადღებას გამოხატავენ პენსიონერი პედაგოგების მიმართ, აწყობენ ექსკურსიებს, გამორჩეულად აღნიშნავენ საზეიმო თარიღებს. ტარდება უფასო ტრენინგები მასწავლებლებისათვის, ერთჯერადად ეხმარებიან ახლადმუქმნილ ოჯახებს, დასასვენებლად უშვებენ პედაგოგებს შეღავათიან ფასებში და სხვა.

და ამ ყველაფრის მიღმა უდიდესი სიყვარულის განწყობაა. თავად **ლილი ნურნუმი** იმ მოტივაციით, რომ ორგანიზაციამ იარსებოს, ხშირად საკუთარ ხელფასსაც იქეთ ახმარს პრობლემის მოგვარებას, მაგრამ სამაგიეროდ, არის უკუგება: პედაგოგები კუმისიდან, ახალსოფლიდან, გარდაბნიდან, მარნეულიდან, – სულ სხვადასხვა სოფლებიდან და რაიონებიდან მზად არიან ერთმანეთთან სათანამშრომლოდ, და ყველას ერთად გარკვეულწილად კოორდინაციას უწევს დემოკრატიული ჩართულობის რუსთავის ცენტრის კოორდინატორი **ლიანა ჩარკვიანი**, რომელიც კვალიფიციურ რჩევებს აძლევს პროფკავშირულ ლიდერებს სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

ამჯერად, სწორედ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის რუსთავის ოფისი მასპინძლობდა პროფკავშირულ ლიდერებს – I-დან მე-9 კლასამდე დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ტრენინგზე დასასწრებად, ტრენინგს **ზურაბ ვახანია** ატარებდა იმ სასწავლო-საგანმანათლებლო საკითხზე, რომელიც სასერთიფიკატოდ უნდა მოამზადონ მასწავლებლებმა.

საზღაურს, ბუნებრივია, პროფკავშირული ორგანიზაცია იხდის მასწავლებელთა სასარგებლოდ.

– და ეს ყველაფერი როდია, გვიხსნის **ლილი ნურნუმი** – ჩვენი სურვილია ეთნიკურად ჭრელ რეგიონში ჩვენი პედაგოგები თანამშრომლობდნენ კეთილი სურვილებით, ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს, რაც გადამდე-

ბია მთელი საზოგადოებისთვის. დღეს ასეთი ერთიანობა საქართველოს ძალიან სჭირდება. ხალხი დაიღალა უაზრო დაპირისპირებით, გაუთავებელი ლანძღვით. ჩვენი პროფკავშირული ორგანიზაციები კი ძველებურად ნინსვლასა და დარგის გაჯანსაღებაზე ფიქრობენ. დადგა დრო, ასეთი ორგანიზაციები ყველგან შეიქმნას და კვლავაც გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს სასიკეთო საქმეთა საკეთებლად.

უფრო ახლოს გავიცინოთ, **ლილი ნურნუმი-ბუხრაშვილი** – იგი ორი შესანიშნავი შვილის დედაა და ძალიან ლამაზი ოჯახის თავქალი. მუშაობს ყარაჯალას აზერბაიჯანულ საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად და აქაც თავისი საქმის ფრიადოსანია. მან 700-მდე აზერბაიჯანულ ბავშვს შეასწავლა და შეაყვარა ქართული სიმღერები, აამეტყველა და აამღერა ისინი ქართულად და ეს ყველაფერი ძალიან ეამაყება. იგი უყვართ სკოლაში – პედაგოგებსაც და მოსწავლეებსაც იმ შემოქმედებითი ნიჭის გამოც, რომ ქალბატონი ლილი თავადაც წერს საკუთარ სიმღერებს სამშობლოზე, ახალგაზრდობაზე, სიკეთესა და სიყვარულზე.

სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული გარემოსილი ასეთი ადამიანები, დიანაც, კვლავაც სჭირდება საუკეთესო ტრადიციების მქონე განათლების დარგობრივ და ყველაზე მრავალრიცხოვან პროფკავშირებს საქართველოს დედაქალაქსა და პერიფერიებში.

რუსთავი შობაგონების ქალაქია მე-5^ბ კლასელებისთვის



გაივლის რამდენიმე წელი, თვე, დღე და რუსთავის 23-ე სკოლის ის მე-5^ბ კლასელები, ახლა ამ ქალაქის ისტორიას და დღევანდლობას რომ შეისწავლიან, მერე თავად დაწერენ ლექსებსა და ჩანახატებს მშობლიურ ქალაქზე, მის ღირსშესანიშნავ ადამიანებსა და ფაქტებზე, რომელიც ყველა სხვა ქალაქისაგან გამოარჩევს მას.

„რუსთავი – ჩემი სიამაყე“ – ეს სახელწოდება ჰქონდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომლის ავტორი გამოცდილი და საკუთარ პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული პედაგოგი **ია ნოზაძე** იყო. საჩვენებელ გაკვეთილს ლიტერატურული მინისპექტაკლის სახე ჰქონდა, ყველა მოსწავლე მთხრობელის როლში იყო და დახვეწილი ქართულით,

თეატრალიზებულად ჰყვებოდა რუსთავის ისტორიას პირველ-მოსახლეობიდან მე-20 საუკუნემდე. მხატვრულ პროზაულ ტექსტებს პოეზია, სიმღერა, მუსიკა და ვიდეოკადრები ენ-



აცვლებოდა. მოსწავლეებმა – ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე დამაჯერებელი ცოდნა გამოავლინეს იმიტომაც, რომ პროექტის განხორციელებისათვის მასწავლებლის ხელმძღვანელობით დაათვალღერეს რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იყვნენ თბილისში, მოინახულეს ბევრი რამ, გაეცნენ რუსთავზე გამოცემულ ისტორიულ და ლიტერატურულ ნიგნებს, ითანამშრომლეს ისტორიის მასწავლებელთან – **მაკა მაჭარაშვილთან**.

გაკვეთილს ესწრებოდნენ მშობლები, სკოლის დირექტორი, პროფესორი **ლელა ახალაია**, მისი მოადგილე **ნარგიზი კორაშვილი**, პედაგოგები: **ნაირა როზაძე, ნათელა ჭინჭარაშვილი, მაკა მაჭარაშვილი** და **თეა გუჯაბიძე**.

– 34 წლის განმავლობაში, რაც სკოლაში ვმუშაობ, ბევრი



საჩვენებელი გაკვეთილი ჩამიტარებია, მაგრამ ასეთი ამაღლებული განწყობა ამ თემას რომ ახლდა, არ მახსოვს.

დღეს ჩემს გვერდით მყოფი მშობლები **ირინა კობახიძე** და **თამარ ფაშალიშვილი** ჩემი ყოფილი მოსწავლეები არიან. ახლა უკვე მათს შვილებს ვასწავლი... მიმაჩნია, რომ ქვეყნის სიყვარული მოზარდებს მშობლიური სოფლისა და ქალაქების სიყვარულით უნდა ვასწავლოთ. კლასში 26 ბავშვია და ყველა ალტაცებით შეხვდა საპროექტო იდეას, რომ ღია საჩვენებელი გაკვეთილი რუსთავზე ჩაგვეტარებინა.

პედაგოგი **ია ნოზაძე** და მისი მოსწავლეები პროექტით გათვლილ ყველა საკითხს – რას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, რა ისტორიული ქარტეხილები გადაიტანა ქალაქმა, ვინ იყვნენ ხალხები, რა

სიძველეებს ინახავს რუსთავის მინა, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ქალაქს, ვინ იყვნენ მისი საამაყო ადამიანები და სხვა – ამ გაკვეთილის შემდეგაც, სასწავლო წლის განმავლობაში კიდევ მიუბრუნდებიან და ახალი ცოდნით შეავსებენ.

დაიგეგმა: ახლო მომავალში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მე-5^ბ კლასელებმა შემოქმედებითად განახორციელონ საკუთარი ჩანაფიქრი და შექმნან თავიანთის სასურველი ნაწარმოებები მშობლიურ ქალაქზე, ეს ნაწარმოები პატარა ნიგნად აიკინძება და სათანადოდაც შეფასდება.

ჩატარებულ გაკვეთილს მაღალი შეფასება მისცა ღონისძიების ყველა მონაწილემ.

გვერდი მოამზადა **ლია მარტაშვილმა**

ნომრის სუბარია თბილისის 191-ე საჯარო სკოლა

მალაქა შედეგზე ორიენტირებული

შარშან პედაგოგებს ძალიან გაუხარდათ ახალი დირექტორის მოსვლა, რადგანაც იგი მათი კოლეგა გახლდათ. თინათინ ბაქრაძე თბილისის 69-ე საჯარო სკოლისა და

აი, ხელთნაკეთი ხელოვნება: გულიკო ფატლაძე (VII) – „თექის პანო“, გვანცა გეგაჭკორი (VII) – „კუ“, „თექის ჩანთა“, ალექო შავერდოვი (VII) – დამრიგებელი თ. ბაღდოშვილი

ბის ფურცელი“ – სკოლას. შავი ზღვის უნივერსიტეტის დიპლომი – სკოლას. აქედან ჩანს, რა აქტიურად მუშაობენ პედაგოგები მოსწავლეებთან მათი შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებისათვის.

მასწავლებლები კი – მეტად ძლიერი კვალიფიციური კადრები მოღვაწეობენ აქ. დირექტორს აქტიურად უდგას მხარში და სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს უნარიანად უძღვება მოადგილე, გამოცდილი, გატაცებით მოღვაწე პედაგოგი მარინე ირემშვილი.

ჩვენ გავიცანით გატაცებით მოღვაწე მასწავლებელი გეორგრაფისა, სახელმძღვანელო ნიგნის ავტორი, პედაგოგის მდივანი ლია გარსენიშვილი. რასან პედაგოგიურ კადრებზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ვთქვათ, სკოლაში სასწავლო ამინდს ქმნიან სერთიფიცირებული მასწავლებლები, თინათინ ბაქრაძე, ლია გარსენიშვილი, ინგა ტაბატაძე, თამარ გაბოშვილი, ნანა ბაგათელია, ინგა გუმბერიძე, დარეჯან ლაფაჩი, თამარ მაჭარაშვილი, ნონა გამხიტაშვილი, ეკა კობახიძე, ნინო თითირაშვილი, მაია ზაკალაშვილი.

მალაქა შედეგებზე ორიენტირებულია გამარჯვებას განაპირობებს საგნობრივი კა-



დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. მოკლე ხანში კარგად წარმოაჩინა ხელმძღვანელის ორგანიზატორული უნარი, უკვე დაეტყო სკოლას მისი კეთილი ხელწერა.

შეხვალთ სკოლაში და აკურატულობით მოიხიბლებით. უცხო თვალი ადვილად შეამჩნევს: პედაგოგები ერთმანეთთან მეგობრობენ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სიყვარულის ატმოსფერო სუფევს. მოგვხიბლა ფოიეში გამოფენილმა მოსწავლეთა შემოქმედებამ. აი, სტენდების თემატიკა: „დავიცვათ ბუნება!“ მილენა ეზუგბაიას (VI^ა კლასი) და ბიოლოგიის პედაგოგ ცირა წურწუმიას ერთობლივი ნამუშევარი. „ლაგოდების ნაკრძალი“ – ანა კოვლიოვა (VI^ბ), „გაგუფრთხილდე ბუნებას“ – ლიზი შამოვი (VI^ბ), დამრიგებელი თამუნა ზედელაშვილი, „ბუნება ქვეყნის მშენებელი“ – გიო მალაქაძე (VI^ბ), „გარემოს დაცვა“ – ანა ხვედელიძე, მარი ხარაული.

ახლა ნორჩი მხატვრების ნახელავი ვიხილოთ: ნინო აროშვილი (X) – „მკითხველი დათვი“, „მფრინავი სპილო“, ლიზი თარაშვილი (I) – „ყვავი“, „მოგზაური ზღარბი“, ნინო ჩხაიძე (III) – „ხილით სავსე კალათა“, „წრუნუნა“, „დათუნა“, ნიკა გიუნაშვილი (II) – „აქლემი“, „ბანტიანი ფისო“.

– „გედები“, მარი ბარამიძე (V) – „ეზო-კარი“, თამარ ჩიკვაძე (V) – „სახლ-კარი“, ლაშა კაციაშვილი (VI) – „სასახლე“.

გეოგრაფიული სტენდი: ანი მაჩიტაძე, მაია ტაბატაძე – „მოგზაურობის სურათები“, თამარ ჩიკვაძის, მარი ბარამიძის, ნათია ოდიშვილის პროექტი – „თურქეთი“, „თვალწარმტაცი საქართველო“, ლია ბრეგვაძე (V) პედაგოგი მზია დულაძე –



„საფრანგეთი“, „პარიზი“, „ჩინეთი“.

ჯილდოები: სიგელი, დიპლომი – ანსამბლ „ბარაკონს“ საპატრიარქოს უნივერსიტეტის დიპლომი – სკოლას, მათემატიკურ ოლიმპიადა „ევერესტში“ წარმატებისთვის „მადლო-

თერების მოქნილი მუშაობა. კათედრებს უძღვებიან გამოცდილი, ენერგიული ხელმძღვანელები: მარინე სინაურიძე (ქართული ენა-ლიტერატურა), დარეჯან ლაფაჩი (მათემატიკა), ნინო ნიშნიანიძე (საზმეცნიერებები), ნინო ბაგათელია (საბუნებისმეტყველო), მაია ოლქიშვილი (უცხო ენები), ნონა გამხიტაშვილი (დანწყებითი განათლება), მზია დულაძე (ესთეტიკა-სპორტი).

სასკოლო ცხოვრებას უფრო ხალისიანს ხდის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი, ყოჩაღი XI კლასელი ნინო ზანგური.

„ხე ნაყოფითა საცნაურ არს“, გვასწავლის ბიბლია. მასწავლებლის შრომა შედეგებით ფასდება და სკოლაში ძალიან ბევრი ჰყავთ სწავლაში წარჩინებული, ე. წ. „ათოსანი“ მოსწავლე. სწავლების ხარისხი რომ მაღალია,



შემდეგიდანაც ნათლად ჩანს: სკოლა ხუთ მედალოსნობის კანდიდატს ითვლის: მარი ღარიბაშვილი, ქეთი ღარიბაშვილი და ბესო სხირტლაძე ოქროს უმიზნებენ, სალომე ალავიძე და თინათინ ბერუაშვილი კი – ვერცხლს.

გარდა ამისა, სასწავლო ოლიმპიადებსა და კონკურსებში გამარჯვებულნი იმდენია, თვლა არა აქვს. შევეცდებით, ყველაზე გამორჩეულნი მაინც შევაქოთ: სამოქალაქო განათლების ოლიმპიადამი გაიმარჯვა ნინო ქავშიაძე (X) და 300 ლარიანი ვაუჩერი მოიპოვა. საპატრიარქოს კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ რელიგიისა და კულტურის პედაგოგის ნანა მაგლობლიშვილის აღსაზრდელები ფინალში გავიდნენ. ზურაბ ფარჯანაძის მოცეკვავეთა ანსამბლი „ბარაკონი“ მუდამ წარმატებულია მაღალი, საერთაშორისო რანგის ფესტივალებში. ასევე ასახელებენ სკოლას პერსპექტიული სპორტსმენები. სპორტის პედაგოგების: შმაგი ხეცურიანისა და დემურ ზარდიაშვილის აღსაზრდელები: ლუკა იმნაძე, რეზო ყალიჩავა, მიშიკო არქანია (ფეხბურთი), გიორგი ონოფრიშვილი, გიორგი ქავთარაძე, ლუკა ჩიხლაძე, ლევან ხუროშვილი (რაგბი), გიორგი ტუხაშვილი (ველოსპორტი) ბევრ შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენები არიან.

სკოლის სიამაყეა XII კლასელი გვანცა ქობალია, რომელიც ფორტეპიანოში მუსიკალური კონკურსების ლაურეატი გახდა.

საამაყონი არიან: გულიკო მურაჩაშვილი, ჯიული მარხულია, გიორგი მელაძე, ნინო პერტაია, ჟენია ჯულაყიძე, ანა ტურაბელიძე, ნია ქაფიანიძე,

სოფო ჯალიაშვილი, ბექა ცერცვაძე, გიორგი დალაღვილი, ელიზავეტა მეხრიშვილი, თამარ მეხრიშვილი, ვალერი კერესელიძე, რობერტ გოგებრაშვილი.

სასკოლო ცხოვრების ფურცელში აქტიურად არიან ჩართული და მის წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვეთ პასუხისმგებლობით, აკურატულად მოღვაწე მუშაკებს: მათემატიკური ტექნიკური უზრუნველყოფის გამოცდილ კოორდინატორს გონა თავართილაძეს, მენეჯერ თამარ მაჭარაშვილს, ბუღალტერ მარინე ჭრიკიშვილს. საქმისმწარმოებელი ლია ჭელიძე ხომ მთელი სკოლის სული და გულია.

დისციპლინის განმტკიცებისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით პედაგოგებთან ერთად ბევრს ზრუნავენ გამოცდილი მანდატურები: ლია ცომაია, მინდია გოგოჭური და თამარ ცხვედანი. დირექცია კმაყოფილია სპეცმასწავლებლის შორენა კვიციანიძის მოღვაწეობით, რომელიც ბევრს მუშაობს ინკლუზიური სწავლების სრულყოფისათვის.

მოწონებას და ქებას იმსახურებს სასკოლო ბიბლიოთეკის გამგის მზია ფუნთუშაშვილის საინტერესო, შემოქმედებითი მუშაობა ამ კრიტიკულ ჟამს, როცა კომპიუტერმა ლამის ნიგნი ხელიდან გააგდებინოს მოსწავლეებს და წერა-კითხვას გადააჩვიოს.

სხვა მხრივ 191-ე სკოლაში საინტერესო, მჩქეფარე ცხოვრება გრძელდება. ვინც ეძებს, ის იპოვინს.

მალაქა შედეგებზე ორიენტირებული უთუოდ გაიმარჯვებენ.

ზორის ხარებავა



„იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დედობრივი მზრუნველობა არ მოგაკლდებათ

გზა ღაბალოსოთ, მე-15 ბაგა-ბაღელებო!



ახალ ბაგა-ბაღს მივსალმებით! იგი იმ ხეხილის ნერგსა ჰგავს, რომელმაც პირველი ნაყოფი უკვე გამოიხსა. დიახ, შარშან დაფუძნებული თბილისის მე-15 ბაგა-ბაღი წელს, ივნისში პირველ ნაკადს გამოუშვებს, დაახლოებით 50-60 სკოლისთვის კარგად მომზადებულ ცეროდენას გზას ზეიმით დაულოცავს პირველი კლასისკენ. შარშან, მე-16 ბაღის ბაზაზე დაარსებული მე-15 ბაგა-ბაღი ჯერ მაინც ახალმოსახლეს ჰგავს, რომელსაც ზოგ რამეში ხელის შეშველება კიდევ სჭირდება.

– კოლექტივის სახელით დიდ მადლობას მოვასხენებთ ქალაქის მერიას, რაიონის გამგეობას, განსაკუთრებით ბაგა-ბაღების სამსახურის სააგენტოს უფროს **თემურ თორდინავას**, რომელმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მე-15 ბაგა-ბაღი ბავშვებისთვის კომფორტული ყოფილიყო. გუშინდელ დიდალი სათამაშოები შემოგვიტანეს. ინფრასტრუქტურა მოგვინერგეს, კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება, – მეგზურობა გაგვინა ამ ზღაპრული სამყაროს დიდმა, ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულმა დიასახლისმა **თამარ მაჭავარიან-ქადაგიძემ**.

ბაგა-ბაღის დირექტორი **თამარ მაჭავარიანი-ქადაგიძე** მეტად გამოცდილი, ენერგიული, შემოქმედი ხელმძღვანელია. დაამთავრა თბილისის 166-ე სკოლა და კიევის პედაგოგიური უნივერსიტეტის დეფექტოლოგიის ფაკულტეტი. ინკლუზიურ ჯგუფებში მუშაობის



დიდი გამოცდილება აქვს. მე-16 ბაგა-ბაღში მუშაობდა დეფექტოლოგად, 2007 წლიდან კი – დირექტორად.

მე-15 ბაგა-ბაღის იერ-სახე მომხიბლავია. შიგნით შეხვალთ და „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტუაფე, რა ნაზობა“. ყველგან სრული წესრიგი და აკურატული სუფეფს: შესანიშნავი სამზარეულო, სამედიცინო კაბი-



ნეტი, ჯგუფების კეთილმოწყობილი ოთახები, სათამაშოებით, თვალსაჩინოებებით მდიდარი. აქ ყველგან თოჯინები იციან. დერეფნებში ზღაპრებიდან გამომდინარე პერსონაჟების სამყაროა. მეცადინეობა, თამაში, კვება უმალეს დონეზე აქვთ მოწესრიგებული. და მეტი რაღა საჭირო ცეროდენების ბედნიერი ბავშვობისათვის? რადა, დედობრივი მზრუნველობა, რასაც აღმზრდელები პანიებს არ აკლებენ.

კმაყოფილი, ნამდვილად გახარებული არიან მშობლები. ერთ მშობელს გავესაუბრე. აღმზრდელები თავს ევლებიანო პატარებს. – ასე მითხრა. კვება? პოეტური პიროვნება აღმოჩნდა ჩვენი ქალბატონი: კერძები იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო, – მომილექსა.

და ყოველივე ზემოთქმულის შემოქმედი ხომ, პირველ რიგში, არიან აღმზრდელები-პედაგოგები. დაელოცოთ მარჯვენა, თქვენ, კეთილო ადამიანებო! ყოველივე ამ წარმატებული საქმიანობის სული

და გული კი გახლავთ შემოქმედებითად, გატაცებით მოღვაწე, გამოცდილი მეთოდისტი ქეთევან ჭუმბურიძე.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში უდიდესი წვლილი შეაქვს ერუდირებულ, ენერგიულ პედაგოგს, დირექტორის მოადგილეს **მეგი ბარბაქაძეს**, რომლის თვალი და ყური ბავშვთა ამ სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულს წვდება.

დირექტორი თავდადებული, აკურატული მუშაობისათვის ქებით მოიხსენიებს მწე **ცილა აფრიამაშვილს** და საქმეთა მწარმოებელ **სალომე ევგენიძეს**.

მტკიცედ დგას ცუგრუმელების ჯანმრთელობის სადარჯოზე გამოცდილი პედიატრი **ანი ხითარშივილი**. მისი შიშით ინფექციები ბაგა-ბაღს სათოფეზე ვერ ეკარებინან. ბევრს მუშაობენ პატარების ნებისყოფის აღზრდასა და მეტყველების კულტურის განვითარებაზე ფსიქოლოგი **ანი ჩიგოვაძე** და ლოგოპედი **ნანა სულაძე**.

ცეროდენებს ძალიან მოსწონთ გემოვნებიანი მზარეულის



რულეული ნახატი: „დედამინა და პლანეტები“, „ზღარბი ტყეში“, უძღვნა მეთოდისტი **ქეთევან ჭუმბურიძეს**. მომავალი ფიროსმანი გაზრდილიყოს პატარა ნიკალას სახით. „გვირილაში“ მრავლად არიან მეოცნებენი. პრეზიდენტობაზე ოცნებობს გონებამახვილი, ჭკვიანი ბიჭი **ლუკა შიზიაშვილი**, ბევრ „დაპირებას“ არიგებს. აქვე გავიცანით პერსპექტიული მომღერლები: მოცეკვავეები, მხატვრები: **სალომე კვიციანიშვილი**, **მარი მახნიაშვილი**, **ნატალი მინაშვილი**, **ნუცა ხმალაძე**, **ელენე ჩავეჭაძე**, **ანი მეღვინეთუხუცესი**, **სანდრო მაისურაძე**.

„ცისარტყელადან“ აღმზრდელმა **ნატო არსენიძემ** გამაცნო იმედისმომცემი: **ნია რამიშვილი**, **ელენე მისირელი**, **ნიტა ავსაჯანიშვილი**, **ლუკა ჯანიაშვილი**, **მათე ხარჩილავა**, **თეკლე წონკოლაური**, **მარი აბულაძე**, **ნინო ყოლბაია**.

„ჭია-მაიადან“ – **თამარ გურგენიძემ**: **სესილი კუჭაშვილი**, **მაშკო პაპიძე**, **ლაშა კახაბრიშვილი**, **გოგა ციყელაშვილი**, **გია გოგუაძე**, **ელენე დათუკაშვილი**.

ნინო გახაკიძის „ბაჭებიდან“ არიან: **მარი ჯალიაშვილი**, **ნინო ჭოჭუა**, **ლუკა ყელიხაშვილი**, **ნატალი კუჭაძაძე**, **დათა ცხოვრებაშვილი**. **ანა ერადის** „ვარსკვლავებიდან“ კი **მაშო ნარიმანიძე**, **ალექსანდრე კახაროვი**, **ელენე ნარეკლიშვილი**, **ელენე ბაინდუროვი**, **ნიკა გრიგოლია**. **ლიანა მოდებაძის** „პეპლებიდან“: **კატო კვინიკაძე**, **გია თაკაშვილი**, **ნია ბერუაშვილი**, **სესილი ღვინიაშვილი**, **დავით გვანცელაძე**, **ანა კიკნაძე**. ყოველი მათგანის

ნიჭი ცის კაბადონზე მკაფიოდ გაბრწყინებულიყოს! აქ ყველა ნიჭიერია. აქ ყველა მეოცნებე და მეგობარია.

ამაგდარი აღმზრდელების: **ნინო რაზმაძის**, **მაკა კვინიკაძის**, **თამარ კვიციანიშვილის**, **ნატო ქადაგიძის**, **ქეთევან კინწურაშვილის**, **მანანა ხატიაშვილის**, **თალიკო სუფაშვილის**, **ნესტან მემანიშვილის**, **მაია გელაშვილის**, **ქეთევან ამირანაშვილის**, **მარინე მინდიაშვილის**, **ციცინო კოლაშვილის**, **მანანა გეთიას**, **თამილა ფურცხვანიძის**, **ირმა ბასილიას**, **ნათია ქოთოლაშვილის**, **ირინე ნაცვლიშვილის**, **ნათია გვენცაძის**, **ნონა მეგრელიშვილის**, **თანაშემწეების**: **თამარ ნაზლაიზის**, **ქრისტინე ბერეკაშვილის**, **ნინო გულიაშვილის**, **თონა გოგელიას**, **ნატო კალატოშვილის**, **ნინო წონონავას**, **ნინო ჭყონიას**, **თებრო ჟუჟუნაშვილის**, **ქეთი ბილიხიძის**, **მაია კაკალაძის**, **მირანდა ჭითანავას**, **ნატა ჯაიანის**, **დიანა მეტრეველის**, **მერი შურლიას**, **დალი აბლაკის**, **ნინო ჩომახაშვილის**, **ბელა მიქაძის**, **ნონა მეგრელიშვილის**, **ინეზა კოსტრიძის**, **მანანა ტატიშვილის**, **მარინე თვალაშვილის**, **ლენი კაბულაშვილის**, **ლილი კილასონიას**, **ინგა ბრეგვაძის** ნიჭიერებას შემდეგში გავიცნობთ. მე-15 ბაგა-ბაღი მრჩეფარე, ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩინებული სტარტი აღებულია. ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი.

დიდ გამარჯვებებს და პირად ბედნიერებას გისურვებთ, მე-15 ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე



დაკურდი, გახდი ყანაო!

გაზაფხულის ჩვენს ბაღს-ბაღში

როგორ სხორებით, 46-ე ბაგა-ბაღში?



თბილისის 46-ე ბაგა-ბაღი 1968 წლის პირველი სექტემბრიდან ფუნქციონირებს. ბაღში მუშაობა დაიწყო 12 ჯგუფით და 280 აღსაზრდელით. იგი ყოველთვის მონივრულად რიგებში იდგა და მუდამ ზრუნავდა აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარებასა და სასკოლო მომზადებისათვის. მონაწილეობას იღებდა ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში, მეგობრობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სკოლამდელბაღთან. ბა-

სოსონაშვილი ყოველთვის მისაბაძი აღმზრდელი, კეთილსინდისიერი მშრომელი იყო.

ამჟამად 46-ე ბაგა-ბაღი მუშაობს 14 ჯგუფით და 530 აღსაზრდელით. ბოლო წლების მანძილზე მონესრიგდა და გარემონტდა სააღმზრდელი ჯგუფები, დერეფნები, ეზოს ინფრასტრუქტურა, ძირითადი სამზარეულო, გაკეთდა ცენტრალური გათბობა, ჯგუფები აღიჭურვა ახალი ინვენტარით.

2011 წლიდან ცეროდენების სამყარო მუშაობს ახალი სტრატეგიით და სარეკომენდაციო პროგრამით. იგი ორიენტირებულია აღსაზრდელთა ჰოლისტიური (მრავალმხრივი) განვითარებაზე. ბაგა-ბაღში შექმნილია ნორმალური ინკლუზიური გარემო.

№46 ბაგა-ბაღში სისტემატურად ტარდება ღია პრეზენტაციები, რომლითაც უდიდეს სიამოვნებას ღებულობენ როგორც აღსაზრდელნი, ასევე მათი მშობლები და აღმზრდელები. აღინიშნება მშობელთა ჩართულობის აქტივობა.

სპორტული აქტივობებით, მოეწყო პატარების მიერ შექმნილი თეატრის ნამუშევრების გამოფენაც.

ამ ბაგა-ბაღს სათავეში უდგას ფრიად კარგი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, წარმატებული საქმიანობის სულისჩამდგმელი. ქალბატონი **ირმა გრიგოლია**. მას დამთავრებული აქვს თბილისის 112-ე საშუალო სკოლა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1993 წლიდან მუშაობს ამ ბაგა-ბაღში – ჯერ აღმზრდელად, შემდეგ – ფსიქოლოგად, მეთოდისტად. 2007 წელს ჩატარებული კონკურსის შედეგად იგი ამ ბაღის დირექტორად აგრძელებს მუშაობას.

ბაგა-ბაღის სრულფასოვან მართვაში დირექტორს დიდ დახმარებას უწევს მისი მოადგილე **ნინო შანიძე**.

ძალიან ენერგიული და შრომისმოყვარე, დაუზარელი, მუდამ აღმზრდელთა დამხმარე და მათ საგანმანათლებლო მუშაობაში აქტიურად ჩართულია **მანანა ჩიჩელაშვილი** – საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი. მუხლჩაუხრელად შრომობს ახალგაზრდა ქალბატონი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **რუსუდან ბარაბაძე**.

განსაკუთრებული მონდომებითა და თავდადებათ მოღვაწეობენ სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მანანა კობახიძე** და საქმეთამამართველი **მანანა ხელაძე**. ბაგა-ბაღის ადმინისტრაცია განსაკუთრებით დიდ მადლობას უცხადებს აღმზრდელთა და მათ დამხმარეთა მთელ შემადგენლობას პატარებთან თვალსაზრისით მუშაობისათვის: **ციცინო კურდელაშვილს, ირმა ავსაჯანიშვილს, მზია სამადაშვილს, ნაზი ჯაფარიძეს, ნინელი შიუკაშვილს, ია ბერიძეს, მარინე ბინაძეს, ნათელა მიქუტიშვილს, მაია ლომთაძეს, ვერა ფაველინიშვილს,**



ლალი შენგელიას, მაია ნინუას, ნატალია რურუას, ელზა გულბათაშვილს, ნაირა გამჯაშვილს, ელზა მასხარაშვილს, ნანა შიუკაშვილს, როზეტა მამისიევილს, ანი მალაღურიძეს, ქეთი ასლანიშ-



ვილს, ია ხელაშვილს, ლალი სინაძეს, ტაისა კვინიკაძეს, სოფიო მორჩილაძეს, ნანა კაკაურიძეს, ეკა ერაძეს, მაია კულაპტრიშვილს, გვანცა ყიფიანს, თამარ ფესტუნოძეს, ლიანა ბერიძეს, ნაირა ბაბაშვილს, სვეტლანა ბერუაშვილს, თაიგულა ბიძინაშვილს, თამარ

ბაიდაური-ბროლაძეს, თამუნა ცოფურაშვილს, ელზა მისურაძეს, მაკა კაპანაძეს, მაკა სხირტლაძეს, მაკა ლაგაზაშვილს, ანა კახიძეს, ანა ყიფიძეს, ციცილო ლაბაძეს, მუსიკის პედაგოგებს – მარინე მასხარაშვილს, მარინე ნასუაშვილს. მზარეულებს – ნელი კენკე-ბაშვილს, მარინე ლომიძეს, ელენე იაკობიძეს. ნათელა იაკობიძეს, მაცყალა ნიკლაურს, ცირა ავსაჯანიშვილს, იზო შერმადინს, მარინე პაპიაშვილს, ნათელა კაკაურიძეს, ლილა მდივანს, დოდო ჯანაშიას, ინგა ბოგვერაძეს, თამუნა პეტრი-აძეს. სპეცპედაგოგს – ირმა ასლანიშვილს, ფსიქოლოგს – ნათია მარგებაძეს, ლოგოპედს – მარეხი მამულაშვილს.

ბაგა-ბაღის უსაფრთხოებას, სისუფთავეს, განაშენიანებას, ეზოსა და ჯგუფების ინვენტარის უსაფრთხოებას ემსახურებიან: **ლალი მინდიაშვილი, ალექსი ვარდოსანიძე, არჩილ ნიკლაური, შოთა მაჭარაშვილი.**

46-ე ბაგა-ბაღის თანამშრომლები მადლობას უხდებიან ბაღის ყოფილ გამგეს **თინათინ ჩიჩელაშვილს.**

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია შემდგომ წარმატებებს უსურვებს შრომით საქმიანობაში ბაგა-ბაღის კოლექტივს.

რომან მოსეაშვილი



გა-ბაღი დაკომპლექტებული იყო პროფესიონალი კადრებით. აქ მუშაობდნენ შესანიშნავი აღმზრდელები, რომელთა ჩამოთვლასაც, ბუნებრივია, ვერ შევძლებთ. მოვიგონებთ მხოლოდ ერთ გარდაცვლილ აღმზრდელს, რომელიც ძალიან დააკლდა ბაგა-ბაღის კოლექტივს. ქალბატონი **ციცო**

პერიოდულად ეწყობა აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენები ბაგა-ბაღის ეზოში. 2014 წელს ჩატარდა შემოდგომის ფესტივალი, რომელშიც ჩართული იყვნენ, მშობლები, აღმზრდელები, ყოფილი აღსაზრდელები. ღონისძიება დატვირთული იყო როგორც შემეცნებითი, ისე მუსიკალური და

კათედრა კათილი კოორდინატორია



თბილისის მე-16 საჯარო სკოლის დაწყებითი განათლების კათედრა მალალ შედეგებზეა ორიენტირებული. ახალმოსული დირექტორი **ქეთევან რეხვიანი** აქტიურად გვიდგას მხარში და მუშაობაში გვეხმარება. კათედრა აერთიანებს 12 პედაგოგს. ესენი გახლავთ: **ნანა ნიკლაური, მაია ქუბიაშვილი, ლელა შაგულაშვილი, ბაია ჩიკვილაძე, ლუიზა ზაუტაშვილი, მანანა გაბელია, ამალია მერაბიშვილი, თამილა პეტრიაშ-**

ვილი, ნანა მერკვილაძე, ლალი მისურაძე, ნათელა მჭედლიძე და კათედრის თავმჯდომარე – **ნინო ჯანაშია**. მიმდინარე სასწავლო წელს კათედრამ ძირეულად შეცვალა და უფრო ნაყოფიერი გახადა დაწყებით კლასებში სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობა. მოკლედ მოგიხსრობთ ამის შესახებ. 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში I კლასის პედაგოგებმა: **ნანა ნიკლაურმა, ლელა შაგუ-**

როსა ოსტაზობას გატაცება ემატება

ლაშვილმა და მაია ქუბიაშვილმა გაიარეს ტრენინგი „გაკვეთილის ელექტრონიკა მართვა“. ტრენინგი - „შეზრუნული საკლასო ოთახი“ - **ბაია ჩიკვილაძემ და ნინო ჯანაშიამ**. ტრენინგი, თემაზე „სადამრიგებლო საათი“ - დაწყებითი კათედრის ყველა წევრმა. ფილმის ჩვენება-განხილვა კომპიუტერულ ლაბორატორიაში (**ა. მერაბიშვილი, ნ. მჭედლიძე, თ. პეტრიაშვილი, ნ. მერკვილაძე, ლ. მისურაძე**).

მანანა გაბელია (III კლასი), მუშაობს გრძელვადიან პროექტზე „ნორჩი ფურნალისტიკა“. წლის ბოლოს ჩატარდება კონკურსი ნოინაციაზე „საუკეთესო ფურნალისტიკა“ და „საინტერესო ინფორმაციის“ გამოსავლენად. გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სიგელებით. **მანანა გაბელიამ და ანნა კვარაცხელიამ** ჩატარეს ინტეგრირებული გაკვეთილი „ქართული + ინგლისური“. მოაწყო საახალწლო ღონისძიება „ახალი წელი TV-16-ში“.

ნანა მერკვილაძე ჩართულია საერთაშორისო eTwining-ის

პროექტებში და ამ საერთაშორისო პროექტში ჩართულობის გამო 2014 წლის დეკემბრის თვეში, მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში – „eTwining 2014 წლის მიმოხილვა“, რომელიც ჩატარდა ბაკურიანში. აგრეთვე მან მონაწილეობა მიიღო ბაკურიანში ჩატარებულ სემინარში თემაზე: „ნიგნიერების განვითარების სასკოლო პროგრამების შემუშავება“. ჩატარა სამოდულო გაკვეთილი „ცხელი სკამი“; კვლევა - „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“; გადაჭრის გზა: ინტეგრირებული გაკვეთილი „ნელინადის სეზონები“; საახალწლო ღონისძიება „ახალი წელი საქართველოს კუთხეებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში“;

ბაია ჩიკვილაძემ და ნინო ჯანაშიამ, თავიანთ კლასებში ჩატარეს საახალწლო ღონისძიება - სპექტაკლი „თორმეტი თვე“. სტუმრობა თეატრში საახალწლო კონცერტზე (**ლ. შაგულაშვილი, მ. ქუბიაშვილი, ნ. ნიკლაური, ლ. ზაუტაშვილი, ა. მერაბიშვილი**); IV კლასებში ჩატარდა სასკოლო

წერები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმცოდნეობაში; კვირაში ერთხელ ვატარებთ კითხვის საათს, რომელიც ორიენტირებულია ნიგნიერების კომპეტენციის განვითარებაზე; „Kings“-ის ოლიმპიადამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეებმა. მათ წარმატებით გადალახეს I და II ტურები და გადავიდნენ ფინალში.

კათედრის წევრებს შორის გვყავს, როგორც ახალგაზრდა, აგრეთვე გამოცდილი და ღვანლმოსილი პედაგოგები - **ამალია მერაბიშვილი, ლალი მისურაძე და ლუიზა ზაუტაშვილი**. ისინი დღესაც აქტიურად არიან ჩართულნი კათედრის მუშაობაში და გვიზიარებენ თავიანთ პედაგოგიურ გამოცდილებას.

ერთი სიტყვით, ჩვენს კათედრაზე საინტერესო, სახალისო, ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელითი პროცესი მიმდინარეობს.

ნინო ჯანაშია,
კათედრის ხელმძღვანელი

სიყვავი კლასის ხელმძღვანელია



ვინაა უნდა კითხო, ვინ არის შენი საყვარელი პედაგოგი, უმრავლესობა კლასის დამრიგებელს ან პირველ მასწავლებელს დაგისახელებს. ეს ბუნებრივიცაა: პირველი მასწავლებელი მუდამ გვასხვავს. კლასის დამრიგებელიც მუდამ გვასხვავს, უფრო მეტიც – იგი ხომ ორმაგად ძვირფასია: საგანსაც გვასწავლის და ცხოვრებისთვისაც გვაზადებს.

თბილისის მე-20 საჯარო სკოლის ახალმოსულ დირექტორს **ლელა ნერგაძეს**, რომელსაც ვერ კიდევ შეიძლება ყველა პედაგოგი საფუძვლიანად არ ჰყავდეს შესწავლილი, ვთხოვეთ, მოწინავე კლასის ხელმძღვანელი გავცნო. მაშინათვე დაგვისახელა და მოადგილეს **ნინო ბალიაშვილს** თხოვა იგი ჩვენთვის წარედგინა.

თულავის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილი **ირინე ზაქარაიშვილი** მეოთხედი საუკუნეა ცეროდენებს იაკობის „დედაენით“ ზრდის და მამულიშვილებად აყალიბებს. წელს IV^ა ე. ი. გამოსაშვები კლასი ჰყავს. კარგად ახსოვს შუბუშუმლაღი წინილებით რომ ჩაიბარა ისინი

ოთხი წლის წინათ და უკვე აპა, კიდევ ორიოდე თვე და გაუფრინდებიან ქეთოს მერცხალივით.

ქვემოთ ქალბატონი ირინე ამ ჯგუფთან მუშაობის შესახებ თავის გამოცდილებაზე წერილობით მოგვიყვება.

ამჟამად ჩემი პატარები მეოთხე კლასის მოსწავლეები არიან. ოცდაშვიდ პატარა ანგელოზს ოთხი წლის წინათ ფართოდ გაეუღე სკოლის კარები და გზა დაველოცე ცოდნის სამყაროსკენ. ახლაც მასხვებს მათი ანთებული და ცნობისმოყვარე თვალები, მასხვებს წინილებით შემომხევიან და პირველივე დღიდან სიყვარულით დამიწყეს ცქერა. როგორი სიმართლე და სინძინდე გამოსჭვივოდა მათი თვალებიდან... და აი, ასე სიყვარულით მოვდივართ აგერ უკვე ოთხი წელია, ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ისინი ჩემი პატარა მეგობრები არიან. მათთან ერთად მიხარია, მათთან ერთად მეც ვიზრდებოდი, როგორც მასწავლებელი.

მათ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას ემსახურება ის ღონისძიებები და პროექტები, რომელსაც ჩემს

გვიყვარდეს დამრიგებელი!

სადამრიგებლო კლასთან ვანხორციელებ. მასხვებს მშობლების, ბებიების და ბაბუების, დამსწრე საზოგადოების გაბრწყინებული სახეები „ანბანის ზეიმზე“. ჩემი პატარები საუცხოოდ წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე. მათ პირველი „გამოცდა“ წარმატებით ჩააბარეს... და მას შემდეგ ასე წარმატებულად მოვდივართ დღემდე. ამას მოჰყვა სპექტაკლების, „კარლსონი სახურავზე“, „მგელი და კრავი“, „კომპლე“, „ნუნა და ნუნუნა“ ინსცენირება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა პროექტზე „ნორჩი მწერალი“ მუშაობა, რომელიც ოთხი წელია გრძელდება. ჩემმა პატარა მწერლებმა ბევრი მოთხრობა, ლექსი და ზღაპარი დაწერეს და დღესაც აგრძელებენ წერას: „ცელქი ფანქარი“, „გაზაფხულის დედოფლები“, „პანანინა ყლორტი“, „მელია და წინილა“ და ა. შ. საზღვარი არ აქვს მათ ფანტაზიას. შემდეგ ამ მოთხრობებს წიგნად ვკრავთ და ნელ-ნელა ივსება ჩვენი „გამომცემლობა“ წიგნებით.

ვუყურებ მათ და ხანდახან ვფიქრობ, რომ ყველა ნიჭიერმა ბავშვმა ჩემს სადამრიგებლო კლასში როგორ მოიყარა თავი? სულ ცოტა ხნის წინათ, შვეიცარიულ და მიმოვიხილეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია, განვასოროციელეთ პროექტი „ჩემი სამშობლო საქართველო“. ჩემმა პატარებმა განასახიერეს ქართველი მეფეები: ფარნავაზი, მირიან მეფე და ნანა დედოფალი, ვახტანგ გორგასალი, არჩილ მეფე, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვა – „თამაშ-თამაშით“ გაეცვენენ ჩვენი წინაპრების ღირ-

სეულ ბიოგრაფიებს, ასე ხალხით დაინყეს საქართველოს ისტორიის შესწავლა.

გვაქვს საკუთარი ბლოგი (saklaso.blogspot.com) სადაც უამრავი მასალაა განთავსებული ჩვენი ოთხწლიანი სწავლის, შრომისა და მუშაობის შესახებ, აქ არის არქივი ფოტო და ვიდეომასალა თითოეულ ბავშვზე და ა.შ. ამ ბლოგით ყოველდღიურად ვამყარებ კომუნიკაციას ბავშვებთან.

ოთხწლიანი დაუზოგავი შრომის შემდეგ, დღეს, შემიძლია თამამად ვთქვა რომ კლასი ერთი მთლიანი ორგანიზმია, რადგან ის დღეს ერთ მუშადაა შეკრული, ეს იგრძნობა ექსკურსიებზე ყოფნისას, სადაც კიდევ უფრო კარგად ყალიბდება როგორც ბავშვების, ასევე მშობლების თბილი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება.

ვამაყობ ჩემი აღსაზრდელებით, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა სასწავლო ოლიმპიადებში და გამახარეს სერთიფიკატებითა და დიპლომებით. აი, ისინი: **დაჩი დარჩიანიძე, ანა კანდელაკი, ირაკლი კაკალაშვილი, გუგა ჩიტიაშვილი, საბა გოგოძე, ლაზარია წულუკიძე, ანასტასია ეზიკიანი-გაბარაშვილი, ნინო ხაჩიძე, ანდრია გვიმელი-ამილახვარი, ნინო ჩილენაძე, ნიკა ბერუაშვილი, ლუკა ცხვედაძე, ნიკა ფავლენიშვილი, ალექსანდრა ძაბახიძე, საბა ბასილაშვილი, მარიამ მანჯავიძე, ლიზა მეტონიძე, ლევან აბუაშვილი** და სხვ. მყავს როგორც სწავლაში, ასევე ცეკვის ოლიმპიადებში წარმატებული ბავშვები: **ლიზა მეტონიძე, ალექსანდრა ძაბახიძე, ლიზი ქულიძე.**

ახლახანს 19 აპრილს, სკოლის

დირექტორის **ლელა ნერგაძის**, ასევე თვითმმართველობის დახმარებით მოვახერხეთ და ხელ-დამშვენებულნი (რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მშობლებს, ასევე თანადგომისთვის) ვესტუმრეთ მოხუცთა თავშესაფარს „ჩვენი ოჯახი“, მოვინახულეთ ჩვენი ბებიკოები (უკვე ასე მოიხსენიებენ მათ ჩემი პატარები), მივულოცეთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და „კვირაცხოვლობა“, მოვეფერეთ და გულში ჩავიკარით. ბავშვებმა დაწერეს სიყვარულით და სითბოთი სავსე წერილები, გააფორმეს, მოხატეს ბარათები თავიანთი პატარა ხელებით და გადასცეს ბებიებს სამასხვოვრად. საოცარი ემოციებით დატვირთული და დადებითად დატრიალებული წამოვედით იქიდან. დიდი მადლობა ამ არაჩვეულებრივ ქალბატონებს მადლიერების გამოხატვისთვის, გულთა დახვედრისთვის, ხალისიანობისთვის, ტკბილი სიმღერისთვის, ცეკვისთვის – ჩემს მოსწავლეებს სამუდამო ტკბილ მოგონებად დარჩებათ 2015 წლის 19 აპრილი.

...ასე მეგობრულად, შესმატკბილებულად მოვდივართ მე და ჩემი ცეროდენები აგერ უკვე ოთხი წელიწადია. ამას ვამბობ და გული მეკუმშება, რადგან უკვე დღეებს ვითვლი, სულ რაღაც ორ თვეში მე-4 კლასის დამთავრების „გამოსაშვები საღამო“ გვექნება და ჩემი დაფრთხილებული ბავშვები გადავლენ მეხუთე კლასში და მე მათი დამრიგებელი აღარ ვიქნები, თუმცა ჩვენ მეგობრებად დავრჩებით მუდამ.

ირინე ზაქარაიშვილი, IV^ა კლასის ხელმძღვანელი

უწყინარი მიკროსოქვლები

მოყურად და საქმიანი ხმაური

კომპიუტერმა და მოზღვავებულმა ინფორმაციამ წიგნის კითხვას გადაგვანაცვალა. რომანის კი არა, ნოველის კითხვაც გვეზარება. ისეთი გაგიჟებული ტემპით მიქრის ცხოვრება, ვერაფერს ასწრებს კაცი. ჰოდა, წიგნის წასაკითხად დროს ვინ გაიმეტებს. ამიტომ შეღავათს ვაძლევ მკითხველს, მიკრონოველების წერაზე გადავდივართ.

სკოლებში მუდამ ტარდებოდა „ღია გაკვეთილები“, „ღია კარის დღეები“. რაც დ. შამქონმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო: საკლასო ოთახის კარები ამოჭრა, მის ადგილას კი მიწები ჩასვა. ასე რომ, ამის შემდეგ ყველა გაკვეთილი „ღია“ გახდა. „მამლის საჯდომი თუ იცის, მეტი რა უნდა მელასა?“

მანდატურს, რომელიც დერეფანში მიაბოტებდა, საკლასო ოთახიდან ხმაური შემოესმა. შეიხედა, მიაყურადა. „მე მასწა!“ „მე, მე!“ – მართლაც შეესწრო მერხებიდან წამოჭრილ მოსწავლეთა ყრიაშულს.

მოყურადე მყის დირექტორთან გაეკრდა. დირექტორმა მანდატურთან ერთად „შემთხვევით“ გამოისიერა და... „ფაქტი ჯიუტია“ – კლასი ნამდვილად ხმაურობდა. დირექტორმა და მანდატურმა აქტი გააშანშალეს, აქტს ბრძანება მიაყოლეს. „გაკვეთილზე წესრიგის ვერდამყარებისთვის

პედაგოგს – საყვედური“. – საქმიანი ხმაური იყო, – იმართლა თავი მასწავლებელმა, მაგრამ დირექტორმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

გაკვეთილზე აკაკის „გამზრდელს“ გადიოდნენ. მასწავლებელმა პრობლემური კითხვა დასვა: „სწორად მოიქცა თუ არა ჰაჯი-უსუბი, თავი რომ მოიკლა?“

გაცხარებული დისკუსია არ ცხრებოდა. იურისტი, თავად ნამანდატურალი დირექტორი, რომელსაც მოსწავლეობის შემდეგ სკოლასთან შეხება არ ჰქონია აბა, რას მიხვდებოდა, თუ რა იყო „საქმიანი ხმაური“.

ნაირსახეობა მლიქმნელობისა

კანცელარიაში ვზივარ დირექტორთან მიღების მოლოდინში. დირექტორმა იცის, რომ დამსახურებული ჟურნალისტი ვარ. დირექტორს კაბინეტში ვილაც „სტუმარი“ ჰყავს და გატაცებით საუბრობენ (სტუმარი კი არა, თანამშრომელი ყოფილა).

ლოდინში ნახევარ საათზე მეტი გაილია. ზარმა გაიკარუნა. ფეთიანივით შევარდა საქმეთა მმართველი დირექტორთან და ასევე დამფრთხალი გამოვარდა: არიქა, განათლების სამინისტროდან მოდიანო! აფორიაქდა ყველა.

მართლაც, ორი მამაკაცი შემოვიდა, პირდაპირ „შეგლიჯა“ კაბინეტის კარი და გაისმა: „სალამქალამი“, „მიკითხვ-მოკითხვა“ და შინაურული „ჰაი-ჰუი“.

დირექტორმა გამოიხედა: სამინისტროდან სტუმრები მყავს, ვერ მიგიღებთ, ხვალ მოდიეთ.

მალე გავარკვიე: ორივე „დიდი სტუმარი“ მართლაც განათლების სამინისტროს მუშაკია, ერთი – დაცვის რიგითი თანამშრომელი გახლავთ, მეორე კი – საწყობის რიგითი მოსამსახურე. აქვე ახლოს ცხოვრობენ და შვილებს მოაკითხეს სკოლაში.

კეთილგანწყობიდან მკვხემ საშარამდე

დედაქალაქის გარეუბნის ერთი დიდი სკოლის დირექტორი ჩემ მიმართ კეთილგანწყობილი იყო, ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. მეც ამ სკოლაზე, პედაგოგთა მიღწევებზე წერილის დაწერა განვიზრახე. ვენვიე და... ვიდეთვალე ხომ არის და არის. შესასვლელში კარის დარაჯ ქალს შენი ანკეტა თუ არ შეუვსე, ისე დირექტორის სანახავად ნაბიჯს ვერ გადადგამ. მერე მანდატურებიც გამოიძიებენ: „ვინა ხარ, რისთვის მოსულხარ და ან კი წახვალ სადაო“.

– დირექტორი ჩემი კარგი ნაცნობია, მისი ნახვა მინდა-მეთქი.

– რა საკითხზე, რა უნდა უთხრა?

– თქვენ ხომ არ ხართ დირექტორი, სათქმელს თავად მას მოვახსენებ-მეთქი. ვატყობ, ნამდვილი ციხის სიმკაცრეა. დაურეკეს საქმეთა მმართველს, მან კი – დირექტორს. – თათბირზე ვარ, ნახევარი საათი დამელოდოსო – „შემომითვალა“. საათზე მეტი გავიდა.

– შეახსენეთ, რა? აქ თქვენთან საღამომდე დარაჯად ხომ არ დავრჩები? – ვთხოვე ნამდვილ დარაჯს. მან რაღაცა ჩაიბუზღუნა, მანდატურს რაღაცა უთხრა და სადღაც გაქრა. ვდგავარ ობოლივით. ვხვდები, დირექტორი მატყუებს, რადგან ვიცი, დღის 12 საათზე, გახურებული გაკვეთილების დროს პედაგოგთა თათბირს არავინ ატარებს. ამ ლოდინში საათნახევარი გასულა. შეურაცხყოფილი გავეცალე სკოლას.

– ქალბატონო, რატომ მალოდინით ამდენ ხანს ტყუილუბრალოდ? – შესამე თუ მეოთხე დღეს ვკადრე საყვედური დირექტორს. – მე როდის დაგიბარე? რომ დამებარებინე, მიგიღებდი. – ეს რა ლაპარაკია? – ის ლაპარაკია, რომ... შენი გულისთვის პედაგოგებთან თათბირს ხომ არ ჩავშლიდი? – თავხედი ყოფილხარო.

ეტყობა დირექტორი პრაქტიკუ-

ლად ფეხებს ანდადებს: „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგარჩებაო“.

ეს ყველაფერი ერთ დიდ, 186-ე სკოლაში მოხდა.

პენსია

ახლა არაგანათლების თემზე ვიმსჯელოთ. ამას წინათ, მე და ჩემი მეგობარი, ცნობილი ქირურგი, პროფესორი, რომელსაც ათასობით პაციენტი უხსნია სიკვდილის კლანჭებიდან, პენსიის ასაღებად რიგში ვიდექეთ. ჩვენ წინ მდგარ კაცს ენა არ გაუჩერებია: ხუმრობდა, ოხუნჯობდა, ანეკდოტებს ყვებოდა, ჩემი მეგობარი კი, რაღაც სევდამყვრილივით, დამუნჯებულყოფო.

პენსია რომ ავიღეთ, მოწყენის მიზეზი ვკითხე. ის კაცი, რომელიც ამდენს მზიარულობდა, ჩემი კარის მეზობელია. ბავშვობიდან ერთად გავიზარდეთ. მთელი ცხოვრება ქურდობისა და ავკაცობის მეტი არაფერი უკეთებია. ხომ შეხედე, იმანაც ზუსტად იმდენი პენსია აიღო, რამდენიც ჩვენ. რატომ არ იქნება მზიარული?

ამბობენ, სამართალი ურმით დადისო. როგორც ხედავ, ურმითაც კი ღარ დადის. „ვაი, ასეთსა სამართალს, მონათლულს ცოდვებრალითა!“

ონისე კინდელი

ახალი რუბრიკა:

„წარმატებული სკოლის ჩვენეული ხედვა“

ამ რუბრიკით განათლების დარგის ცნობილი სპეციალისტები, სკოლის დირექტორები, გამოცდილი პედაგოგები გვთავაზობენ მაღალ შედეგებზე ორიენტირებული, წარმატებული სკოლის და სწავლების მისაღწევი ღონისძიებების ჩამონათვალს, სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. მათი ხედვა მოიცავს ამ სფეროში არსებული შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორების დაძლევა-აღმოფხვრის გზებს.

სწავლების ხარისხის ამაღლების გზები და მიზნები

სასწავლო პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება (რასაკვირველია რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან ცოდნის ხარისხის ამოცანებიდან გამომდინარე) ახლის ძიებას, რადგან ყოველდღიური ერთფეროვნება მომავალს უზრუნველყოფს და მოსაწყენი ხდება.

მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, თუ: სკოლაში ჩართულნი არიან სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, სკოლის გარეთ კი – საქმიანობასთან, რომელიც დაკავშირებულია მათ ინტერესებთან და პრობლემებთან; თანამშრომლობენ სხვა მოსწავლეებთან; მონაწილეობენ კვლევის პროცესში; თავად აფასებენ სწავლების მიმდინარეობას; საქმე აქვთ პრობლემურ სიტუაციებთან; სკოლაში მიღებულ ცოდნას უკავშირებენ სკოლის გარეთ მიღებულ გამოცდილებას; ადგენენ კავშირს თემებს, საგნებსა და ინტერესთა სფეროებს შორის; ცდილობენ მართვის ცნობილი საგნების, მოვლენების და ასპექტების ერთმანეთთან დაკავშირებას და სინთეზს.

უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში სწავლების ხარისხის ასაძლიერებლად ბუნებრივია, სხვა კომპონენტებთან ერთად ძირითად მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ: მოსწავლის მოტივაცია; საჭირო უნარების გამოუმუშავება და ცოდნის მოძიება (ნებისყოფა, ადეკვატური აღქმა, ანალიზი, სინთეზი, შეფასება, ყურადღების

კონცენტრაცია და ა. შ.); დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის კულტურის ჩამოყალიბება.

მოსწავლეთა აქტივობის მიღწევასთან ერთად აუცილებლად ყურადღებები უნდა იყოს სწავლების ხარისხის შემდეგი კომპონენტები: პედაგოგის მოტივაცია; მასწავლებლის ცოდნა, უნარები, გამოცდილება; საგნობრივი სტანდარტების, პროგრამების და სახელმძღვანელოების კვალიფიციურობა; სასწავლო და აღმზრდელობითი რესურსების ხარისხი; მოსწავლეთათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ფორმირება და განვითარება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში; სწავლების მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური მრავალფეროვნება; სასკოლო დისციპლინის უზრუნველყოფა; დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების (მათ შორის, აკადემიური წრეების) ხარისხი.

სწავლებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსში სკოლის დირექტორისა და თვით პედაგოგის ამოცანაა მოსწავლეებს გამოუმუშაონ შეგნება იმის თაობაზე, რომ მასწავლებელი ყოველთვის მეტია სახელმძღვანელოზე.

სწავლების ხარისხის ამაღლებას ემსახურება გაკვეთილებზე პერიოდული (თუნდაც, თვეში ერთ-ორ საგანში) დასწრება დირექციის წარმომადგენლებისა.

მოკლედ მოგახსენებთ გაკვეთილზე დამსწრე სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის ან საგანმანათლებლო სტრუქტურის სხვა წარმომადგენლის ეთიკური ნორმების ფარგლებში მისი დამოუკიდებულების შესახებ გაკვეთილზე დასწრებასთან დაკავშირებით: არ უნდა აქციოთ გასაიდუმლოებულად გაკვეთილზე დასწრების დრო (სასურველია სემესტრის დასაწყისში სამასწავლებლოში დაფაზე გამოკრული იყოს მიმდინარე სემესტრში თითოეულ პედაგოგთან გაკვეთილზე დასწრების დრო); სასურველია გაკვეთილის დამთავრებისას მადლობა გადაუხადოთ მასწავლებელს და მოსწავლეებს ერთობლივი მუშაობისთვის; მოსწავლეთა კლასიდან გასვლის შემდეგ უნდა გავამხნე-

ვით მასწავლებელი რამდენიმე წამახალისებელი ფრაზით.

ზოგიერთ განათლების თეორეტიკოსს, ექსპერტს, თვით სკოლის დირექციას, პედაგოგს, მიაჩნია, რომ საკმარისია მხოლოდ მოსწავლისთვის მიწოდებული დოზირებული ინფორმაცია. მათი აზრით, მთავარია ინფორმაციის მოპოვების გზების მოძებნა.

სკოლაში მიღებული გაცნობიერებულ-გაანალიზებული ცოდნა (და არა მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრება) არის სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი. ასეთი დასკვნა არ გამოიციხავს, რომ მოსწავლემ ეს ცოდნა გამოიყენოს დამოუკიდებლად მოქმედებისთვის, ექსპერიმენტისთვის, გამოკვლევისთვის, საკუთარი შემოქმედებისთვის.

ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბების სწავლის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი სიანტიერესო ფორმაა, ჩვენი ქვეყნის რამდენიმე სკოლაში დამკვიდრებული „მეცნიერის დღის“ ჩატარების პრაქტიკა. სკოლის დირექციის მიერ უმჯობესად სასწავლებელთა რექტორატებთან შეთანხმებით სასწავლო პერიოდის განმავლობაში, სასწავლო პროგრამის თემის შესაბამისი გაკვეთილის ჩატარება პროფესორ-მასწავლებელთა მიერ.

მოცემული საგაკვეთილო თემის ირგვლივ მოსწავლეები იღებენ მეცნიერული ელემენტებით გაჯერებულ ინფორმაციას. გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეთა ჩართულობის აქტიურობის შესაბამისად, ხდება კონკრეტული თემის, პრობლემის ანალიზზე დაფუძნებული დასკვნების გაკეთება.

ვფიქრობ, ჩვენი მუშაობის პრაქტიკაში ამ ფორმის გამოყენება საინტერესოს და მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს.

მიმაჩნია, რომ კვლავაც აქტიურად უნდა ჩავაბათ მოსწავლეები საოლიმპიადო საქმიანობაში. უარი არ უნდა ვთქვათ საგნობრივი წრეების მუშაობაზე, სასწავლო კონკურსებისა და ოლიმპიადების ორგანიზებაზე.

როგან მოსეშვილი

„რა ენა ნახავს“

„მარინა?!“, „ირინა?!“ „ბაჰუკრაჰა?!“

მხოლოდ ფაქტებით ვილაპარაკოთ. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გენადი სანაიამ ქართული ენის პედაგოგი, რომელსაც მარინე ერქვა, გაკვეთილზე გადაიღო. ეს ქალბატონი რედაქციაში მოგვიყვარდა და შავი დღე გვაცარა: „მე, მარინა“ მქვია და თქვენ „მარინე“ რატომ დაბეჭდეთო!

ნუთუ მან, ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა, არ იცოდა, რომ გოგია უიშვილის ცოლს, მარინე ერქვა? მაშინ არც ის ეცოდინებოდა, რომ ეგნატეს ერთ-ერთი მოთხოვნის სათაურია „ქრისტინე“ და არა „ქრისტინა“.

რუსეთში სწავლამიღებულ დავით კლდიაშვილს მშობლიური ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ მშვენიერი ქართულით დაგვიწერა მშვენიერი პიესა „ირინეს ბედნიერება“ და არა „ირინას ბედნიერება“. ნუთუ ირინა სარიშვილმა არ იცის, რომ „ირინეა“ მისი სახელი? ნუთუ ტელევიზიამ, პრესამ და ბევრზე ბევრმა ქართველმა არ იცინა, რომ: მარინა, „ირინა“, „ქრისტინა“, „ეკატერინა“... რუსული კალკები?

თითქოს „ბლოგი“, „ბრენდი“, „ტრენინგი“, „პრეზენტაცია“ და სხვა მრავალი არ გვეყოფოდაო, ბოლო დროს საიდანაც რუსიზმი „გაპარავება“ – „გაუპრავა“ გამოტყვრა და მეტყველებაში ფეხს იკიდებს: „საბერძნეთის სასამართლომ დათა ახალაის დანაშაული „გაუპრავა“. იგი „ონ პრავ“, ფრაზისგან გადმოქართულებული ბარბაროზია. მის მომხმარებელთა ჭკუით კი ნიშნავს: უსამართლო საქციელი სამართლიანად უქცია, უკანონობა დაუკანონა.

ენის სინონიმის დაცვის ტვირთს მხოლოდ სკოლებზე ნუ გადმოვიტანთ. ენის კანონმდებლებო, განსაკუთრებით კი, მწერლებო, მარტო თქვენი ნიგნების „პრეზენტაციებზე“ ნუ ზრუნავთ, თორემ თქვენი „პური არსობისა“ ხელიდან გამოგეცლებაო.

მწერალს, რომელიც წარამარა „პრეზენტაციას“ გაიძახის, მოსე მწერალი ვერ შეიყვარებს. ქართველნი, „ჭინჭარში ნუ ვარდებით, ნუ გგონიათ იქ ია და ვარდები!“ შეინარჩუნეთ ეროვნული თავმოყვარეობა: უცხოურ ვიზებსა და ჭინჭებს ნუ დახარბდებით!

მოსე მწერალი

განმარტება

განათლების სისტემის მეცნიერებისა და მუშაკების ო. ალა-ვიძის, რ. ბალანჩივაძის, გ. გვარამიას, შ. მალაზონიას, კ. რამიშვილის, ზ. ქობალიას, ზ. ცუცქერიძის მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ირაკლი ლარიბაშვილისადმი გაგზავნილ განცხადებაში მე ვარ დასახელებული ავტორთა შორის, შესაბამისად მიმაჩნია გავაკეთო შემდეგი განმარტება:

აღნიშნული განცხადების შინაარსის შესახებ მე ვიყავი ინფორმირებული სატელეფონო ზარით (ქალაქში არ ვიმყოფებოდი) და თანხმობა მივეცი ინიციატორებს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტრადიციული ფუნქციის დაბრუნების საკითხის დასმას, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

სამწუხაროდ, მე მხოლოდ წერილის გაგზავნის შემდგომ გამაცნეს მისი სრული ტექსტი, სადაც პედაგოგიკის ინსტიტუტის გარდა აღძრულია განათლების სისტემაში არსებული სხვა საკითხებიც. განცხადებაში აღნიშნულ მიდგომას ამ საკითხებში მე არ ვეთანხმები.

პატივისცემით, პროფესორი გია გვარამია. 2015 წლის 18 აპრილი

ჩვენ ასე ვფიქრობთ



უფრო სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული საჯარო სკოლის მისია და ხედვა; სკოლის ხელმძღვანელობა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებულად უნდა მონაწილეობდეს სტრატეგიული გეგმის დროში მიღწევადი ამო-

ცანების განხორციელებაში; ამ სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შეიმუშაოს სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა; მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიხვეწოს საჯარო სკოლის შინაგანანესი.

სკოლას უნდა ჰყავდეს სკოლის დირექტორი, როგორც ეფექტური მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზებას, მის ეფექტიან განკარგვას საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სწორი მართვა. მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობე-

ლებაზე ზრუნვა; სკოლაში აუცილებელია შიდა მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება; სკოლის წარმატებული განვითარებისთვის მოძიებული უნდა იყოს დამატებითი ფინანსური და მატერიალური სახსრები, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საფუძველზე, შერჩეულ უნდა იქნას ადამიანური რესურსები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები – რაციონალურად და სამართლიანად გადანაწილებულ-დელეგირებული.

უნდა არსებობდეს ეფექტური, მზრუნველი და მოსწავლეებისათვის მასტიმულირებელი სასწავლო გარემო;

ვლო პროცესის გაუმჯობესებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საჯარო სკოლა უნდა იყოს კონკურენტუნარიანი;

მას უნდა ჰქონდეს მაღალ დონეზე მონესრიგებული ინფრასტრუქტურა; სკოლა უნდა ურთიერთობდეს თემთან;

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, უაღრესად საჭიროა შეიქმნას სასკოლო კლუბები (ეკოლოგიური, სამოქალაქო განათლების, sparc და ა. შ.).

ჩვენი აზრით, ამ მოთხოვნების შესრულება წარმატებული, მოწინავე სკოლის ჩამოყალიბება-რეალიზების სრული გარანტიაა.

მარინე გიგაური, თბილისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორი

ქველმოქმედების ხიბლი და სიდიადე

უბთი დღე თათბათა კავშირისა



მოხუცთა პანსიონატში საქველმოქმედო აქცია ჩავატარეთ, - გვწერდნენ თბილისის 142-ე საჯარო სკოლიდან. მყის ვაჟას „ხმელი წიფელი“ გაგვასხენდა. რატომ? იმიტომ, რომ XXI საუკუნე „წარსულისადმი ნდობა-პატივის“ დეფიციტით, უმადურობის ნიშნით დაიწყო. დღევანდელი თბილისის ზედგამოჭრილია ვაჟას შეგონება: „განა ყველა, რაც ძველია, კაცისგან სანუნარია? ათას ცოცხალსა ბევრჯელა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

სასიხარულოა, რომ განათლების სამინისტროს ინიციატივითა და ძალისხმევით სკოლები ატარებენ საქველმოქმედო ღონისძიებებს, რომლის მიზანია მოსწავ-



ვლე ახალგაზრდობის ჰუმანური სულისკვეთებით აღზრდა. ნიჭიერი, შემოქმედი დირექტორის შორენა ცნობილადის მხარდაჭერით ამ სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა ზედიზედ უკვე მეორე საქველმოქმედო აქცია ჩავატარეს. სწორედ ამაზე მოგვითხრობს რედაქციამი გამოგზავნილი მათი წერილი.

ჩვენს სკოლას წლების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა აქვს თემის დასახლების XI მ/რაიონის მეორე კვარტალში არსებულ მოხუცებულთა პანსიონატთან. ხშირად ვსტუმრობთ მათ ჩვენი შემოქმედი მოსწავლეებისაგან მომზადებული ღონისძიებებით, რომლითაც მყარდება თათბათა შორის ურთიერთმეგობრული კავშირი.

სკოლის ღირსეულ ისტორიულ თარიღებს კიდევ ერთი დღე მიემატა - 2015 წლის 6 აპრილი.

IX კლასის მოსწავლეთა ინიციატივით მომზადდა პროექტი, მოხუცთა პანსიონატში ჩაგვეტარებინა საქველმოქმედო კონცერტი დევიზით: „გავუხაროთ მოხუცებს გული!“ „გავუღამაზოთ მათ კიდევ ერთი დღე!“

პროექტის იდეა მოსწავლეებს მიანოდა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა მანანა დანელიამ, რომელიც გამომდინარეობდა „KPH International“ ორგანიზაციიდან. ამის შემდეგ მოსწავლეებმა პროექტი გააცნეს სკოლის დირექტორს - შორენა ცნობილადეს, დირექტორის მოადგილეებს: ბელა ჩიტასა და დოდო გოგოლაძეს, რომლებმაც მოსწავლეებს გადანიჭეს ტიტული მოუწონეს და მხარში ამოუდგნენ.

პროექტი ღონისძიების ჩატარების გარდა ითვალისწინებდა მოხუცთა მატერიალურ დახმარებასაც, რაც განხორციელდა კიდევ სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ძალეებით, სპონსორების დახმარებით.

პროექტის ორგანიზების პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღეს IX კლასის მოსწავლეებმა: ლერი ფაილაძემ და ირაკლი ქოსაშვილმა, მათ თიანამშრომლეს ჰი-პერ-მარკეტ „Carrefour“-ის ადმინისტრაციასთან, რომლებიც მატერიალურად დაეხმარნენ პროექტის ინიციატორებს.

IX კლასის მოსწავლეებს სულიერი სიმხნევე შემატა თბილისის „მოზარდთა სახლმა“, საპატრიარქოსთან არსებულმა

ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ, „დავითიანმა“.

ღონისძიებისათვის შეირჩა შემოქმედ მოსწავლეთა მიერ მომზადებული საუკეთესო ნომრები.

ენტუზიასტი ახალგაზრდები დამოუ-



კიდებლად, მთელი პასუხისმგებლობით შეუდგნენ კონცერტისათვის მზადებას. ცდილობდნენ, უფროსების ჩარევის გარეშე თავიანთი სულიერი ძალა, უნარი გამოეფლავებინათ.

კონცერტს უძღვეოდნენ მოსწავლეები: სალომე ლაცოშვილი და ნატო მიქელაძე. სცენაზე სიმღერებს ენაცვლებოდა ცეცხლოვანი ქართული ცეკვა, ცეკვას - მოსწავლეთა მხატვრულად ნაკითხული ლექსები თუ თვითშემოქმედითა პროზაული ნაწარმოებები.

დიდი მოწონება დაიმსახურა ანა თავაძის მიერ ნაკითხულმა საკუთარმა ნოველამ, რომელიც მოხუც პოეტს ეძღვნებოდა. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ აკაკი პაპუნდი და ამიკო მჭედლიშვილი.

სიმღერებით აახშიანეს დარბაზი: ლიზი მაზმიშვილმა, სალომე ხუნაშვილმა, სალომე მოსიძემ, ნინო ბიჭიაშვილმა, ნინო ბატიაშვილმა, სტინიმ, ნიკა ფხალაძემ. სტუდია „ვარსკვლავების“ მომღერლებმა, რომლის ხელმძღვანელია ნანა ზარქუა, კონცერტმაისტერი - მაია მარშანია, სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ელისო ბერკაცაშვილი და ბიბლიოთეკარი მაია ჭიბუაძე, ქართულის პედაგოგი ლია გვიჩია.

მოსწავლეებს მხარში ედგა IX კლასის დამრიგებელი მაია აფციაური.

უმრეტე ენერჯია იღვრებოდა დამსწრეთა გულში. ამ ენერჯით ივსებოდნენ ბავშვობაში დაბრუნებული მოხუცები.

მონაწილე ბავშვებს მადლობა გადაუხადა საპატიო სტუმარმა, რესურს-ცენტრის წარმომადგენელმა ნინა ასათიანმა.

პანსიონატის მკვიდრებს გულითადი სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა, შორენა ცნობილადემ, რომელმაც პირობა მისცა მოხუცებს, რომ ასეთი ღამეები დღე ბევრჯერ გამეორდებოდა.

სამადლობელო სიტყვით გამოვიდნენ სახენათელი, გახარებული მოხუცები, დალოცეს მათი გულის გამხარებლები.

მიღწეულია მიზანი, რომელიც ღონისძიების დევიზშია გამოხატული. ამაღლებული და ემოციური დღე აჩუქეს მოსწავლეებმა მოხუცებს, დღე - თათბათა კავშირისა, რაც სანინდარია ჩვენი საზოგადოების მთლიანობისა.

მაყვალა გერმანოზაშვილი, პედაგოგი

ნაპო გერგედავა - 85



დავაფასოთ, ვაკახანკოთ დასწავლკაკლი!

ორიოდა თბილი სიტყვით გვინდა მივმართო აფხაზეთიდან დევნილ მასწავლებელს. თუნდაც იმიტომ, რომ დამსახურებული პედაგოგია და 85 წლისა შესრულდა. მიუხედავად ბევრი ბაქი-ბუქისა, ჯერ არ გამოჩენილა მთავრობა, რომელიც ღირსეულად დააფასებდა მასწავლებლის მძიმე შრომას.

გასულ საუკუნეში ერთგვარად არსებობდა პედაგოგის მატერიალურ-მორალური ნახალისების ფორმები, კერძოდ, ნოდებების მინიჭება „რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლისა“, „სახალხო მასწავლებლისა“, რომელიც კარგა ხანია გაუქმებულია.

ამ საერთო საყვედურის ფონზე დამსახურებულ, ღვაწლმოსილ პედაგოგს ნაპო გერგედავას 85 წლის იუბილეს ვულოცავთ.

მან დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მონაწილეობდა პედაგოგს თითქმის 40 წელი გარდა სკოლისა, არსად უმოღვაწეობია. ჯერ მუშაობდა მშობლიური ჭუბურხინჯის სკოლაში (გალის რაიონი) მასწავლებლად, შემდეგ - ოჩამჩირის რაიონში. იყო ოხურეის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე. მაგრამ ნაპო გერგედავას პედაგოგიურ ბიოგრაფიას ყველაზე მეტად მაინც ამჟღავნებს ახალი კინდლის საშუალო სკოლაში ხანგრძლივი, შემოქმედებითი, ნაყოფიერი მოღვაწეობა.

გარდა საგნის სწავლებაში მიღწეული წარმატებებისა (რაც ყველაზე მთავარია) ნაპო გერგედავა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს მოსწავლისა და მასწავლებლის მეგობრული ურთიერთობა, ასევე კოლეგებთან დამოკიდებულება. ნაპო გერგედავა ყველას გვიყვარდა და დღესაც გვიყვარს მის ნამონაფრებს და კოლეგებს.

ხუმრობით „გიგანტს“ ვეძახდით. ზოოლოგიის გაკვეთილზე ისეთი გზნებით, გატაცებით ესაუბრებოდა მოსწავლეებს გიგანტებზე: დინოზავრებზე, ბრონტოზავრებზე, მამონტებზე, თითქოს ეს ცხოველები მის ხელში გამოზრდილი ყოფილიყო.

მსცოვანი პედაგოგი ბევრი ჯილდოს კავალერია, გახლავთ დამსახურებული მასწავლებელი. ახალი კინდლის სკოლის ყოფილი დირექტორი ზიგფრიდ ხუსუა წერს: „ნაპო გერგედავას სკოლის ეზოში ჰქონდა ბრწყინვალე საცდელი ნაკვეთი. ასევე შექმნა კეთილმოწყობილი ბიოლოგიის კლას-კაბინეტი და ცდა-დაკვირვების ფონზე ატარებდა შთამბეჭდავ გაკვეთილებს“.

ნაპოს ბევრი ნამონაფარი ცხოვრებაში მასწავლებლის გზას დაადგა.

ასეთი ნოვატორი, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული პედაგოგი დღეს ძალიან ცოტა გვყავს.

ნაპო გერგედავა ამჟამად ზუგდიდში ცხოვრობს. ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს და იმასაც, რომ მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან პედაგოგის ღვაწლის ღირსეულად დაფასებას მალე მოსწრებოდეს.

მეგობრების სახელით: ბორის მიშვილამ, ტიტა ხუსუა, ზიგფრიდ ხუსუა, ვალტარ სიზინაბა და სხვები

რედაქტორი
ბორის მიშვილამი

სახალხო განათლება
№ 7 (4511)
29 აპრილი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რ ე დ კ მ ლ ე გ ი ა

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatileba@gmail.com

ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

